

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის აშრაფ ტუკანოვის კასუმლოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

ქ. მარნეული

22.09.2019 წელი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: აშრაფ ტუკანოვი ,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდა- კასუმლოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების:კასუმლოს,აღმამედლოს,ულაშლოს,კუმჭუს,ბეითარაბჩის,ბაითალოს მოსახლეობა,ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტი არჩილ მდივნიშვილი ,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტი გიორგი ჩაჩანიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,კასუმლოს ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის აშრაფ ტუკანოვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა,კასუმლოს ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა აშრაფ ტუკანოვმა კასუმლოს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (კასუმლო,აღმამედლო,ულაშლო,კუმჭუ,ბეითარაბჩი,ბაითალო)მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო კასუმლოს ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.აღინიშნა,რომ მიმდინარე წელს სოფელ კასუმლოში სარწყავი არხების რეაბილიტაცია და სპორტული ოთახის

რეაბილიტაცია განხორციელდა.სოფელ აღმამედლოში გზის მოხრეშვის და აღმამედლოს საჯარო სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულდა.სოფელ ულაშლოში შიდა ქსელისა– რეზერვუარის მოწყობა და ულაშლოს გზების მოხრეშვა განხორციელდა.სოფელ კუმჩუში წყალსადენი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდა.სოფელ ბეითარაბჩში სასმელი წყლის რეაბილიტაცია,გარე განათების მოწყობა და საჯარო სკოლის სახურავის გამოცვლა,კარ-ფანჯრების შეცვლა და საპირფარეშოს რეაბილიტაცია განხორციელდა.სოფელ ბაითალოში გარე განათება მოეწყო,ასევე სკვერში ფანჩატურები გაკეთდა.

აზრი გამოთქვებს: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს **სოფელი კასუმლოს(?)** მოსახლეობას.

სოფელი აღმამედლოს მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად;სარწყავი წყლის რეაბილიტაცია,ახალი სკოლის და ამბულატორიის მშენებლობა,ნაგვის ურნები, და ტრამპლინი დაასახელა.

სოფელი ულაშლუს მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად;სკოლის რეაბილიტაცია,გარე განათება, ტრამპლინი და შიდა ქუჩების მოასფალტება დაასახელა.

სოფელი კუმჩუს მოსახლეობამ პრობლემად სასმელი წყლის სოფელში შეყვანა,გარე განათების მოწყობა და ნაგვის ურნების მონტაჟი დაასახელა.

სოფელი ბეითარაბჩის მოსახლეობამ სოფლის პრობლემათა ჩამონათვალში დაასახელა სასმელი წყლის შეყვანა სოფელში,შიდა ქუჩების მოასფალტება და გარე განათება დაასახელა.

სოფელი ბაითალოს მოსახლეობამ პრობლემად სასმელი წყლის რეაბილიტაცია, კასუმლომდე მისასვლელი გზის გაკეთება და მინი სტადიონის აშენება დაასახელეს.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კასუმლოს ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის აშრაფ ტუკანოვის გაწეული მუშაობის ანგარიში.